საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №06-01/48

ქ. ბათუმი 06 მაისი, 2019 წ.

ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობების დასაკავებელი კონკურსის ჩატარების მიზნით საკონკურსო სააპელაციო კომისიის შემადგენლობისა და უფლებამოსილების ვადის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-8 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ “ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 აპრილის №01-02/49 ბრძანებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის მარინა ქორიძის სამსახურეობრივ ბარათის (MES 8 19 00513091, 03.05.2019) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. „ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ “ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 აპრილის №01-02/49 ბრძანებით გეოგრაფიის დარგობრივ დეპარტამენტში გამოცხადებული კონკურსის ჩატარების მიზნით დამტკიცდეს საკონკურსო სააპელაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1) **დავით ბარათაშვილი** - ბსუ-ს პროფესორი, კომისიის თავმჯდომარე;
2) **რუსუდან ხუხუნაიშვილი** - ბსუ-ს პროფესორი, წევრი;
3) **ქეთევან დოლიძე** - ბსუ-ს პროფესორი, კომისიის მდივანი.

2. საკონკურსო სააპელაციო კომისიის მუშაობის უფლებამოსილების ვადა განისაზღვროს **2019 წლის 18 მაისიდან 23 მაისის ჩათვლით**.

3. უფლებამოსილების განხორციელებისას კომისიამ იხელმძღვანელოს ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო

უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილებით, „ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ “ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 აპრილის №01-02/49 ბრძანებითა *და წინამდებარე დადგენილებით.*

4. წინამდებარე დადგენილება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტ*სა და საკონკურსო სააპელაციო კომისიის წევრებს.*

5. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**